საქართ. მშრომელთა სოციალ-ფედერალისტთა რევოლიუციონ. პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10,000 მ. ნონპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტისყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

№ 370

პარასკევი, დეკემბრის 15 1922 წ.

ტფილ. ფასი 50სი მან. ▭ პროვინც. 5000 მან.

● რუსთაველის თეატრი ●

სახელმწიფო აკადემიური დრამა

შაბათს 16 დეკემბერს

ორი ჯიბგირი

დასაწყისი სრულ 8 საათზე

№ 717. 3—2

სახელმწიფო კონსერვატორია

ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული საღამო.

რედაქცია გამართავს მორიგ ლიტერატურულ საღამოს, რომელიც ვაჟასადმი იქნება მიძღვნილი: სიტყვები:

1. კ. გამსახურდია: ვაჟა-ფშაველა—კოლუმბი.
2. არისტო ჭუმბაძე: ვაჟას პროზა.
4. ირაკლი ტატიშვილი: ვაჟა-ფშაველა.

ბილეთები: წინასწარ იყიდება ბილეთების სალარო კონსერვატორიაში გამართება, დაწვრილებით აფიშებში. 1—1

ტფილისი. ქუთაისი. ბათუმი.

მოდის გაზეთი

რადიუსები სამკუთხედში

1—1 რედაქტორი მზია ერისთავი.

ორშაბათს, 18 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე აღმასკომის შენობაში დანიშნულია

კომუნალური განყოფილების, შინაგან მმართველობის მ. ტ. გ. ინ.

განყოფილებათა სექციების სხდომა.

ვთხოვთ ყველა ამხანაგებს დაესწრონ თავის დროზე.

3—1 მდივანი ხუნდაძე.

## განიარაღების კონფერენ. შეიარაღების პროექტებით

როდესაც ვაშინგტონში განიარაღების საკითხი დაისვა, ყველა სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა პათეტიურად განაცხადეს განიარაღების საჭიროება და მშვიდობიანობისაკენ მიუწოდებენ კონფერენციას.

ჩვენ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ხელთ გვქონდა ვაშინგტონის კონფერენციის პროგრამა აღვნიშნეთ, რომ განიარაღების საკითხი ვაშინგტონის კონფერენციისათვის მხოლოდ შირმა იყო, რომლის იქეთ ერთი მხრით ბურჟუაზიული ფრონტის გაერთიანების ცდა იმალებოდა, ხოლო მეორე მხრით ამერიკანიზაციის გეგმები ითხზებოდა.

ჩვენ მაშინ აღვნიშნეთ, რომ მილიტარიზმი და მარინიზმი ლოღიკური დაბადება იმპერიალიზმის და სანამ არსებობს უკანასკნელი, არ შეიძლება მოისპოს პირველი.

მართლაც ვაშინგტონში ყველა სახელმწიფო მომხრე გამოდგა მოწინააღმდეგეთა განიარაღების, ხოლო თავისთვის თითქმის ყველა მათგანი მოითხოვდა შეიარაღებას.

ანალოგიურ მოვლენას ქონდა ადგილი უკანასკნელად მოსკოვში, სადაც განიარაღების კონფერენციაზედ კონფერენციის მონაწილეებმა თანხმობა განაცხადეს სამხედრო ძალის ერთი მეოთხედით შემცირების შესახებ, ხოლო როდესაც საქმე მიდგა კონკრეტიულად ამა თუ იმ ქვეყნის განიარაღებაზედ, მაშინ არსებითად საბჭოთა რუსეთს გარდა ყველამ შეიარაღების პროექტი წარმოადგინა.

10 დეკემბრის სხდომაზედ პოლონეთის დელეგაცია აცხადებს, რომ თანახმაა შეიარაღების შემცირებაზედ 370.000 კაციდან 280 კაცამდე, მაშინ, როდესაც ერთა ლიგაში წარდგენილი ანგარიშით პოლონეთს ყავს 290.000 კაცი თავის ჯარში.

ლატვიის დელეგაცია თანახმაა შეამციროს ჯარი 19.000 კაცამდე, მაშინ როდესაც მისი სამხედრო ძალის შემადგენლობა სწორედ 13.000 კაცს უდრის

ესტონეთის დელეგაცია უფრო მეტად ნიადაგ არიამეტიკის და თანახმაა არმიის შემცირების 16.000 კაცამდე, მაშინ, როდესაც მის არმიაში ირიცხება სულ 13.000 კაცი.

ფინეთის დელეგაცია უფრო ჯენტმენურად იქცევა და გულახდილად აცხადებს, რომ ფინეთის ჯარი შესდგება 28 ათას კაცისაგან და იგი არ შემცირდება.

ამ რიგად განიარაღების კონფერენცია არსებითად შეიარაღების პროექტებს ისმენს. მართლაც, რომ მშვენიერი სანახაობაა, საუკეთესო გასართობია.

რას ნიშნავს ყოველივე ეს? იმას, რომ წვრილ ბურჟუაზიული პარტიები, გაბატონებული ხსენებულ ქვეყნებში არსებითად აგრესიული პოლიტიკის მატარებელია და ხელიდან ვერ უშვებს ხმალს, მიუხედავად მათი ძლიერის სისუსტისა.

როდესაც საფრანგეთმა ამ უკანასკნელ დროს ერთი გამოგზავნა რუსეთში და საფრანგეთის ოფიციოზმა „ტანმა" არსებითად შეცვალა თავისი წერის მანერა რუსეთის მიმართ და განაცხადა, რომ თუ გვინდა ევროპის პოლიტიკას წარმოება რუსეთს უნდა გაუწიოს ანგარიში, პოლონეთის პრესას ცრემლები გადმოსცვივდა, რომ საფრანგეთ-რუსეთის დაახლოვება ჩვენ ქვეყანას უქადის საფრთხესო.

ეს დამახასიათებელია, როგორც პოლონეთის ისე ყველა პატარა სახელმწიფოსი დღეს, რომელნიც სავასალო ურთიერთობაში არიან რუსეთის უმთავრეს ყაზარმებთან. მათი საგარეო პოლიტიკა თვისობრივად იგივეა, რაც საგარეო პოლიტიკა დიდი კაპიტალისტური ქვეყნების.

კაპიტალიზმის განვითარება სხვათა შორის სახელმწიფო ბიუჯეტის მილიტარიზაციით ხასიათდება. საკმაოა თვალი გადავავლოთ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ბიუჯეტებს, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, რომ „კულტურული" ქვეყნები თავის შემოსავლის უმთავრეს ნაწილს სამხედრო „კულტურაზე" ხარჯავენ.

დღეისაც, ორათ გაყოფილ მსოფლიოს შორის, ხან გაცხადებ მდგომ სახელმწიფოთა ბიუჯეტის მილიტარიზაცია ეკონომიურ განვითარებას აღწევს და ეს მაშინ, როდესაც ევროპის სახელმწიფო მესვეურნი თითქმის ყოველ ორ თვეში საერთაშორისო კონფერენციებს იწვევენ, რომ თავი დააღწიონ ეკონომიურ კრიზისებს და უმუშევრობის ზრდას.

დღეს იარაღით ფიქრობს კაპიტალისტური ქვეყნები არსებობის შენარჩუნებას, მაგრამ მარტო იარაღი არ არის საკმაო კაპიტალიზმის აღდგენისათვის. იმპერიალიზმი იარაღის ქლარუნით კი არ იმარჯვებდა მარტო, არამედ მას ზურგს უმაგრებდა მძლავრი ეკონომიური რესურსები ნაციონალური წარმოების სახით, რომელიც თავისი შინაგანი თვისებების გამო მიისწრაფოდა ჩამორჩენილ ქვეყნებისაკენ, რათა იქ ერთი მხრით მოეხდინა ბუნებრივი სიმდიდრის უტილიზაცია და მოსახლეობის ექსპლოატაცია ხოლო მეორე მხრივ მონოპოლური დასებში გაესაღებია ნაციონალური წარმოების ფაბრიკატები.

დღეს კი კაპიტალისტური ქვეყნების იარაღები გაცილებით მძიმეა მათი ძლევის ძალაზედ და ამიტომაც არის, რომ მიუხედავად შეიარაღებისა არც ერთ სახელმწიფოს არ ძალუძს დღეს ამ იარაღით ვასრიალოს მოწინააღმდეგეთა ბანაკისაკენ.

საბჭოთა რესპუბლიკების გარშემო შემორტყმული პატარა სახელმწიფონი, რომელნიც დღეს განიარაღების კონფერენციაზედ შეიარაღების პროექტებს აყენებენ, არსებითად საკუთარი ხალხის ინტერესების წინააღმდეგ არიან ამხედრებული, რადგან ისინი თვით იარაღად არიან ქვეყნის იმპერიალისტური სახელმწიფოების ხელში, ცხადია ისტორიის ლოღიკას ესტონეთისა და ფინეთის წვრილ ბურჟუაზიული თავი ვერ შეაჩერებს და რევოლიუციონური მოძრაობა გამოძახილს პოვებს ადრე თუ გვიან ამ სახელმწიფოებშიაც.

ს.—ელი.

## იაკობ ნიკოლაძის იუბილე

### იაკობ ნიკოლაძის იუბილე

კულტურული საღამო. ქართული საღამო. ნაზი სიყვარულით აღსავსე საღამო.

იაკობ ნიკოლაძე ღირსია ასეთ ტკბილ საღამოსი. მისი 25 წლის შემოქმედებითი მუშაობის გამო ქართველ საზოგადოებამ, მთელ საქართველომ, მშრომელთა საქართველომ შესაფერისი გამოძახილით გამოეხმაურა იაკობის იუბილეს. დიდი ხანია ჩვენ ამ უკანასკნელ წლებში არ გვინახავს ასეთი შეხმატკბილებული ქართული ჰარმონიული გამოსვლა. მწერალთა, მხატვართა, მუსიკოსთა წარმომადგენლები, ქართველ მუშების წარმომადგენელი პროფკავშირების სახელით, საქართველოს მთავრობა—ყველა ერთგვარ სილამაზით, ერთგვარი სიყვარულით მიმართავდენ საყვარელ მოქანდაკეს, პირველ ხელოვანს ამ დარგში, პირველ ქვის გამკვეთს, რომელიც ცოცხალ სულს აძლევდა მკვდარ ქვას, მარმარილოს. ის არის პირველი ქართველი, პირველი საქართველოში და სწორედ ეს სავსებით აღინიშნა იმ საღამოს.

ლამაზათ და გემოვნებით მორთული სცენა იაკობ ნიკოლაძის ნამუშევართით ეს იყო სიახლე ჩვენს ცხოვრებაში. მრისხანეთ თავის სიდიადით ზემოიდან გადმომყურე შოთა რუსთველის ქანდაკება და იქვე ქვემოდ გამწკრივებული ქანდაკებები რიცხვით 12, სახელდობრ აკაკის, ნინოშვილის და სხვა მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენდენ. ამასთანავე სცენის გარეთ ფარდის წინ მეტად სიხალისით და ცოდნით შესრულებული მხატვარი ქეთო მაღალაშვილის ასულის მიერ სურათი იაკობ ნიკოლაძის—ეს თავის მხრივ კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა.

ივ. გომართელის და ვ. კოტეტიშვილის მოხსენებების შემდეგ ზემოაღნიშნული სურათი, მორთული სცენა ქანდაკებებით და შიგა და შიგ მწერალნი, მხატვარნი, პოეტები, მუსიკოსნი, მსახიობები და საზოგადო მოღვაწენი რაღაც ევროპიულ სისადეს და არაჩვეულებრივ სანახაობას ქმნიდა. მოხდენილი სიტყვები, შესაფერისი საჩუქრები თავის თავად აცხოველებდა საერთო სურათს. თეატრში მყოფ ზღვა ხალხის ტაში იაკობ ნიკოლაძის სცენაზე გამოყვანის დროს საერთო აღფრთოვანებას, საერთო ზეიმს გამოხატავს. საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე მწერალი კოტე მაყაშვილი ხსნის იუბილეს. შუაში სავარძელში ზის იაკობ ნიკოლაძე, იქით აქეთ დავით კლდიაშვილი და სუმბათაშვილი-იუჟინი.

ესალმებიან მთავრობის წარმომადგენელი არჩილ მიქაძე, რომელიც გადასცემს 50 მილიონს და პირდება სრულ უზრუნველყოფას, ფინანსების კომისარიატიდან ელისაბედაშვილი და გადასცემს 25 მილიონს, სახალხო განათლების წარმომადგენელი შალვა დადიანი, რომელიც უცხადებს, რომ აღნიშნულ კომისარიატის გადაწყვეტილებით იაკობ ნიკოლაძეს ეწოდა „სახალხო მოქანდაკე", პროფკავშირების სახით ქართველ მუშების სახელით გიორგი ყურულაშვილი, რომელიც აძლევს 10 მილიონ მანეთს, სახელოვნო კომიტეტის სახელით ტიციან ტაბიძე მოხდენილ სიტყვით, ახალ მწერლობის კავშირის სახელით აღფრთოვანებულ სიტყვას ეუბნება პაოლო იაშვილი, ჩვენი გაზეთის „ტრიბუნა"-დან ესალმება სერგო ამაღლობელი და სხვა მრავალი. უკანასკნელი სიტყვა იყო იუბილარის, რომელმაც თავის სადა აღსარებით აღფრთოვანება და ძლიერი ტაში გამოიწვია ხალხში.

ასე დასრულდა იუბილე თეატრში, მხოლოდ მისი გაგრძელება მოხდა კაფე „არფასტ"-ში ბანკეთზე, სადაც ტკბილ მეგობრულ სუფრაზე მრავალი სიტყვებით ესალმებოდენ იუბილარს სხვა და სხვა წარმომადგენლები.

ხოსო.

## ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობა

ბაქო. 12 დეკემბერი. 12 დეკემბრის დილის სხდომაზე სწარმოებდა მსჯელობა ამხ. ორჯონიკიძის მოხსენების გამო რომელიც შეეხებოდა ამიერ-კავკასიის ფედერაციის საკითხს. ფედერალისტებმა ლომინაძემ განაცხადა, რომ მემარცხენე ფედერალისტებს წარმოდგენილი აქვთ ყველა საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაცია, რომელსაც ცენტრი ექნება მოსკოვში ამ განცხადებამ გამოიწვია მთელი რიგ ორატორების სასტიკი კრიტიკა ამხ. ორჯონიკიძემ თავის საბოლოო სიტყვაში სთქვა, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაცია იქნება ორგანო, რომელშიაც გაერთიანებული იქნებიან ამიერ-კავკასიის ყველა ერები. ეს საკმარისია იმისათვის რომ ვაღიაროთ ამიერ-კავკასიის ფედერაციის არსებობის აუცილებლობა ფედერაციით ამიერ-კავკასიის მშრომელებს შეძლება ექნებათ განავითარონ თავიანთი მრეწველობა და მეურნეობა.

ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება მოწონებულ იქნა ყრილობის მიერ და გადაეცა ყველა მასალებით საკონსტიტუციო კომისიას.

დიდი ენტუზიაზმით შეხვდა ყრილობა ამიერ-კავკასიის ცალკე არმიის უფროსის ამხ. ეგოროვის მოხსენებას წითელი არმიის და ფლოტის შესახებ. ყრილობამ აღნიშნა წითელი არმიისა და ფლოტის დიადი დვაწლი საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების და ამიერ-კავკასიის მშრომელთა შორის მუდმივ ძმური სოლიდარობის დამყარების საქმეში. ყრილობამ მიაქცია ყველა საბჭოთა ორგანიზაციების ყურადღება იმას რომ აუცილებელია მიექცეს დიდი ყურადღება წითელ-არმიელების და წითელ-მეზღვაურების მდგომარეობას. ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასკომთან მოეწყობა შეფების ბიურო.

ამხ. ბუნიატ-ზადე გამოდის მოხსენებით ამიერ-კავკასიის ბამბის მოშენების მდგომარეობის შესახებ. ყრილობამ დაავალა მომავალ ცენტრალურ აღმასკომს მიიღოს ყოველივე ზომები ამიერ-კავკასიაში ბამბის, მოშენების განვითარებისათვის ამიერ-კავკასიის მთავარი ბამბის კომიტეტის დაარსების გზით.

საღამოს სხდომაზე მოისმინეს მოხსენებები ამხ. სერებროვსკის—ნავთის მრეწველობის მდგომარეობის შესახებ და ამხ. ბოგდატიევის მუდმივის სამელიორაციო-სამშენებლო განყოფილების მუშაობის შესახებ.

ყრილობას განუწყვეტლივ მოსდის მისალმებანი მშრომელებისაგან, რომლებიც მოითხოვენ ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნას რაც განამტკიცებს მჭიდრო მშვიდობიანობას ერებს შორის.

## ამიერ-კავკასიის ესერების პროცესი

### განაჩენის დამტკიცება.

ბაქო. დეკ. 13. აზერბეიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა რა უმაღლეს რევტრიბუნალის განაჩენი ამიერ-კავკასიის ესერების საქმის შესახებ დაამტკიცა იგი, მაგრამ მიიღო რა მხედველობაში საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცე შეუცვალა სიკვდილით დასჯა ზაიცევს, პლეცნიოვს, გოლომაზოვს, კლემპოვს და ივანოვს ციხეში დაპატიმრებით 8 წლით თვითეულს.

## განიარაღების კონფერენცია

მოსკოვი. დეკ. 14. განიარაღების კონფერენციის 11 დეკემბრის სხდომაზე ლიტვინოვი დაეყრდნო რა 4 დელეგაციის დეკლარაციას, რომელიც არის კონფერენციის უკან დახევის ფაქტი, წინადადება შეიტანა მოწვეულ იქნეს პლენარული საჯარო სხდომა კონფერენციის ბედის საბოლოოდ გამოსარკვევად საზღვარ გარეთის დელეგაციების თავმჯდომარეებმა უარყვეს ლიტვინოვის წინადადება სხვა და სხვა დელეგატების დეკლარაციათა გამოქვეყნების შემდეგ ლიტვინოვმა ხელმეორედ შეიტანა წინადადება კონფერენციის მუშაობის განგრძობის შესახებ, რაზედაც უარყოფითი პასუხი მიიღო უცხოეთის დელეგატებისაგან. ლიტვინოვს მეტი გზა აღარ დარჩენოდა გარდა იმისა, რომ აღენიშნა კონფერენციის უშედეგოთ დამთავრება და მთელი პასუხისმგებლობის პო-

ლონდონის, ესტონეთის, ფინეთის და ლატვიის დელეგაციებზე დაკისრება.

—ჟურნალისტებთან ინტერვიუს დროს ლიტვინოვმა კონფერენციის უშედეგოთ დამთავრების გამო განაცხადა. საბჭოთა რუსეთი, იწვევდა რა იგი განიარაღების კონფერენციას, ქონდა სერიოზული განზრახვა. მას არ სურდა ლამაზი ფრაზითი დაკმაყოფილება. მიუხედავად იმისა არასასიამოვნო ფაქტები, როგორც ადგილი ქონდა დასავლეთის სახელმწიფოების მხრივ და მიუხედავად ჩვენი აღმოსავლეთის საზღვრების საშიშროებისა, რუსეთმა შეამცირა არმია 800000 კაცისაგან და წინადადება შეიტანა ამ არმიის 200 000 კაცამდე შემცირების შესახებ. საბჭოთა რუსეთი ფიქრობდა, რომ დასავლეთის მეზობლები მხარს დაუჭერდნენ მას და დასთანხმდებოდნენ არმიის და შეიარაღების შემცირებაზე. ამაზე მათ უარი განაცხადეს. ჩვენ წამოვაყენეთ მთელი რიგი წინადადებათა განიარაღების საკითხის გამო, ამათ კი მთელი კონფერენციის მუშაობა უნდოდათ შემოეფარგლათ თავდასხმისაგან თავის შეკავების საკითხით. ისინი ფიქრობდნენ ამით მოეტყუებინათ თავიანთი ხალხი, მაგრამ ეს მათ ვერ მოახერხეს, კონფერენციამ დაუმტკიცა მთელ მსოფლიოს რომ ჩვენ წითელ არმიას არავითარი აგრესიული განზრახვები არ აქვს კონფერენცია გაამართლებს თავის დანიშნულებას, თუ ერები დარწმუნდებიან რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობის მშვიდობიანობის მოყვარეობაში.

## ლოზანას კონფერენცია.

**სრუტეების საკითხის დაყოფა.**

მანჩესტერი, 14 დეკ. რუსეთის დელეგაციამ ლოზანაში კონფერენციის თავმჯდომარეს გადასცა საპროტესტო ნოტა იმის გამო, რომ მოკავშირეთა ექსპერტების ახალი პროექტით საკითხი სრუტეების შესახებ გაყოფილია ორ ნაწილად.

**კვლავ ინციდენტი.**

მანჩესტერი, 14 დეკ. ლოზანიდან იტყობინებიან, რომ ექსპერტების თათბირზე დამსწრე რუსეთის ექსპერტებმა პროტესტის ნიშნად დასტოვეს სხდომა, რადგან გამოირკვა, რომ საკითხი სრუტეების თავისუფლების შესახებ დაკავშირებულია განიარაღებულ ზონების საკითხთან.

**დროთა ბოლო მოვიდა**

მანჩესტერი 14 დეკემ. უმცირესობათა დაცვის საკითხის განხილვის დროს კერზონის შემდეგ გამოვიდა ისმეტ-ფაშა, რომელმაც განაცხადა, რომ ოსმალეთი უარყოფს ყოველგვარ უცხოეთის კონტროლს უმცირესობათა დაცვისათვის და რომ უცხოეთის ოსმალეთის საქმეებში ჩარევას დროთა ბოლო მოვიდა. ისმეტ-ფაშის ამ განცხადების გამო კერზონმა მწუხარება გამოსთქვა, რომ ახალი ოსმალეთი ასე ნაკლებ ანგარიშს უწევს საერთაშორისო უფლებას.

**კერზონის განცხადება**

ლონდონი 15 დეკემ. „ნიუ იჯენსის" ცნობების თანახმად კერზონმა განაცხადა, რომ ისმეტ-ფაშის პოზიციას უმცირესობათა საკითხში შეუძლია გამოიწვიოს მოკავშირეების დელეგაციების ლოზანიდან წასვლა და კონფერენციის დარღვევა. ლორდ კერზონმა აღნიშნა, რომ საკითხი უმცირესობათა შესახებ უფრო მეტ ყურადღებას იწვევს, ვინემ სხვა საკითხები, რომელიც ირჩევა კონფერენციაზე.

მან განაცხადა: „თუ კონფერენცია ჩაიშლება უმცირესობათა საკითხის გამო და ჩვენ დავტოვებთ ლოზანას ამ საკითხის გადაუჭრელად, უეჭველია, რომ ოსმალეთის დელეგაციას არავინ მხარს არ დაუჭერს გარდა ანგორისა.

**კერზონის მუქარა**

ლონდონი 14 დეკემბერი. უმცირესობათა საკითხის განხილვის დროს, კერზონი თავის სიტყვაში აფრთხილებდა ისმეტ-ფაშას, რომ უკანასკნელის პოზიცია გამოიწვევს მძიმე შედეგებს ინგლისის და სხვა სახელმწიფოების საზოგადოებრივ აზრში,

კერზონმა განაცხადა, რომ თუ ოსმალები არ გაიზიარებენ მოკავშირეების თვალსაზრისს, ეს იქნება კონფერენციის ჩაშლა სწორედ იმ საკითხის გამო, რომელიც ყველაზე უფრო აინტერესებს მსოფლიოს.

## უცხოეთი

**ორი და ორნახევარ ინტერნაციონალის გაერთიანება**

მოსკოვი 14 დეკ. ჰააგაში ჰენდერსონის თავმჯდომარეობით გაიმართა ორი და ორნახევარ ინტერნაციონალთა აღმასრულებელ კომიტეტების გაერთიანებული სხდომა. მიღებულ იქნა რეზოლუცია ორივე ინტერნაციონალების გაერთიანების შესახებ. ამ მიზნით შედგენილ იქნა კომიტეტი, რომელშიაც შედიან ორივე ინტერნაციონალის წარმომადგენლები. კომიტეტს მინდობილი აქვს უახლოეს დროში საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა.

**ახალი პოლიტიკური პარტია საფრანგეთში.**

მოსკოვი. 14 დეკ. საფრანგეთის კომუნისტურ პარტიიდან უკანასკნელ კონგრესის დროსვე გარიცხულ წევრებმა: ვერფეიმა, სოლემ და სახტიემ შეადგინეს ახალი პოლიტიკური ჯგუფი. ამ ჯგუფს განზრახვა აქვს მომავალში კონგრესზე შეადგინოს ახალი პარტია.

**ავსტრიის უმუშევართა შორის.**

მოსკოვი, 14 დეკ. ვენიდან იუწყებიან რომ სოციალ-დემოკრატებმა უარი განაცხადეს უმუშევართა დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღებაზე. დემონსტრაცია მოწყობილ იქნა ავსტრიის უმუშევართა ცენტრალური კომიტეტის მიერ კომუნისტების ხელმძღვანელობით.

**იაპონია და რუსეთი.**

მოსკოვი. 14 დეკ. შიმაკაში მოხდა იაპონიის ვაჭარ-მრეწველთა თათბირი. მიღებულია რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებს რუსეთთან ვაჭრობის გაჩაღების მიზნით საექციონერო საზოგადოების მოწყობის აუცილებლობას. რეზოლუცია მოითხოვს მთავრობისაგან რუსეთთან ხელშეკრულების დადებას. თათბირმა დაადგინა აგრეთვე გაგზავნოს რუსეთში თავისი წარმომადგენლები და პერიოდულად მოიწვიოს ასეთი თათბირები, რათა ხელი შეუწყონ რუსეთისა და იაპონიის შორის სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის მიზნით.

**მშვიდობიანობის კონგრესი ჰააგაში.**

მოსკოვი 14 დეკ. ჰააგაში მშვიდობიანობის კონგრესის გახსნის დროს, კონგრესის თავმჯდომარემ ტომასმა განაცხადა, რომ კონგრესს ესწრება ექვსასი დელეგატი, 14 მილიონი მუშების წარმომადგენლები. ტომასმა აღნიშნა, რომ მსოფლიო ომმა მოსპო 35 ნახ. მილ. კაცის სიცოცხლე, მან გაამრავლა სახელმწიფოების დავალიანება, რომელიც მთელი თავისი სიმძიმით აწევება მუშათა კლასს.

მოსკოვი 14 დეკ. ვარშავაში ნარუტოვიჩის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევის გამო გაიმართა მიტინგი, რომელმაც მიიღო რეზოლუცია რომელშიაც მოითხოვენ ნარუტოვიჩის მიერ უარის თქმას პრეზიდენტობაზე და შეურიგებელი ბრძოლას ებრაელებთან.

11 დეკემბერს დილის ათ საათზე სეიმის მახლობლად შეიკრიბა მრავალ რიცხოვანი ბრბო, რომელთაც განზრახული ჰქონდათ არ შეეშვა სეიმში ნარუტოვიჩი. სეიმიდან გამოსული რამოდენიმე მემარცხენე დეპუტატს ბრბომ შეურაცხყოფა მიაყენა. მომავალ ავტომობილებს და ეტლებს აჩერებდნენ და სინჯავდნენ მგზავრების დოკუმენტებს სცემდნენ ყველას რომელთაც ცოტათი ემჩნეოდათ ებრაელობა:

პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ მოაწყო მანიფესტაცია შემდეგი ლოზუნგით: „ძირს პოლონეთის ფაშიზმი".

ახალგაზრდობის საპროტესტო მიტინგზე, რომელიც მიმართა ნარუტოვიჩის არჩევის საწინააღმდეგოდ, ენდეკ-ორატორები მოუწოდებდნენ ახალგაზრდობას, რათა დაეცოთ სამშობლო ებრაელების ძალადობისაგან.

მიტინგის მონაწილენი დემონსტრაციით გაემართენ გენერალ გალერის სახლისკენ სცემდენ გზაში მიმავალ ებრაელებს.

ნარუტოვიჩის სახლის ფანჯრებთან დემონსტრანტებმა მოაწყვეს კატისებური კონცერტი. ვარშავის ქუჩებში მთელი დღის განმავლობაში დადიოდენ გაძლიერებული პატრულები. გამოუშვეს ფურცლები შემდეგი სათაურით: „შეთქმულება სახელმწიფოს უფროსის წინააღმდეგ". ებრაელების მუშაობა. ხუთი ყუმბარა" ამ პროვოკაციული ფურცლებით გაძლიერდა განწყობილება დარბევისაკენ.

**ირლანდიის პარლამენტში.**

მოსკოვი. დეკ. 14. ირლანდიის პარლამენტის სხდომაზე მუშათა პარტიის ლიდერმა ტომის ჯონსონმა განაცხადა რა პროტესტი 4 რესპუბლიკანელის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ საქმეთა მათი სიკვდილით დასჯა სასამართლომდე წარმოადგენს უკანონო მკვლელობას: ის სპობს ხალხის ყოველგვარ ნდობას ირლანდიის თავისუფალ სახელმწიფოს მთავრობისადმი".

მუშათა პარტიის სხვა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მცხოვრებლები ეხლა ამჯობინებენ დაუბრუნდნენ ბრიტანეთის მთავრობის ხელისუფლებას.

ინგლისმა თავის [illegible] რიკის ვალების გასტუმრების რისკი. ინგლისის [illegible] ხას, რომელსაც მიიღებს ინგლისი როგორც გერმანიისაგან ისე მოკავშირეებისაგან.

**მოლოდინის წინააღმდეგ.**

მანჩესტერი. 14 დეკ. პარიზიდან იუწყებიან, რომ პუანკარეს მოლაპარაკებას მილიერანთან ის შედეგი ჰქონდა, რომ პუანკარემ მოლოდინის წინააღმდეგ უარყო რურის ოლქის ოკუპაციის საჭიროება. თათბირის შემდეგ პუანკარემ განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ მას ლონდონის თათბირზე არ მოუთხოვია რურის ოლქის ოკუპაციის მოხსნა, ვინაიდან ის გარანტიები, რომელთა გატარებას იგი ფიქრობს, სრულებით ზედმეტად ხდიან სამხედრო ჩარევას. პუანკარემ დაუმატა, რომ იგი იტოვებს მოქმედების თავისუფლებას, და საჭიროების დროს, 15 იანვრის შემდეგ იმოქმედებს სრულიბით დამოუკიდებლად.

## ახალი ამბები

— **საბურთალოს სამკურნალოს ბინის შეკეთება.** გაბაევის სახლი, რომელშიდაც მოთავსებულია საბურთალოს სამკურნალო, გადაწყვეტილია შეკეთებულ იქნას მთლიანად, აღმასკომის მიერ დამტკიცდა ხარჯთ-აღრიცხვა ჯამით 86,750,000 მანეთი. ამ შენობის ქვემო სართულში მოთავსებული იქნება ქალაქის მილიციის განყოფილება სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე აღძრული შუამდგომლობა, აღნიშნულ სახლს მუნიციპალიზაციის.

— **ქირიანთა ბარაკები კავკასიის განსაკუთრებულ ლაშქრის სანიტარულ ნაწილისათვის,** კავკასიის განსაკუთრებულ ლაშქრის სანიტარულ ნაწილის მიერ, აღძრული იყო შუამდგომლობა ქალაქის აღმასკომის წინაშე, შესახებ ქირიანთა ბარაკების გადაცემაზე, რაზედაც აღმასკომის მიერ უარი გამოეცხადა და დაადგინა აღნიშნულ ბარაკებში გახსნან ქეციან ბავშვთა საავადმყოფო, საავადმყოფოს გასახსნელად კრედიტი გაიხსნება ჯანმრთელობის განყოფილების ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენის შემდეგ.

## ლონდონის თათბირი

**ლონდონის თათბირის შედეგები.**

ბერლინი. 14 დეკ. მიუხედავად იანვრამდე ლონდონის თათბირის შეწყვეტისა, საფრანგეთის პრესა აღნიშნავს, რომ თათბირმა მიაღწია ორ მნიშვნელოვან შედეგს: 1) ერთხმად და მტკიცეთ უარყოფილ იქმნა კანცლერ კუნოს წინადადება 2)

## მთავარ კომიტეტის გაფართოებული სხდომა.

(მე-2 სხდომა)

**საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი.**

**მოხსენება ამხ. სიმონ ხუნდაძისა**

**1. გარდამავალი პერიოდი და ეროვნული საკითხი.**

თანამედროვე საერთაშორისო ვითარებამ და საბჭოთა რესპუბლიკების ხუთი წლის თავგამოდებულმა ბრძოლებმა ჩვენ დაგვანახვა, რომ მსოფლიო დღეს ორ მოწინააღმდეგე ბანაკად არის გაყოფილი და მათ შორის სისხლის მღვრელი შეტაკებანი ხდება: ერთის მხრივ არის კომინტერნი და საბჭოთა რესპუბლიკები, მეორე მხარეზედ კაპიტალისტური მსოფლიო რეფორმისტებთან ერთად. ამ ორ ბანაკს შორის არ არის საშუალო ადგილი, რომელზედაც შეიძლებოდეს მტკიცედ დაყრდნობა. თეორიულად შეიძლება ასეთი რამ მოიძებნოს, მაგრამ პრაქტიკულ პოლიტიკის გატარების დროს ან ერთს ბანაკში მოხვდები, ან მეორეში. რეფორმისტები და [illegible]—რეფორმისტები ბევრს ცდილობდნენ გამოჯენილიყვნენ, როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნით,— პრაქტიკულად ეს გამოჯვნა სრული კრახით დამთავრდა და მათ თავი ამოყვეს კაპიტალისტების ბანაკში. 2 ნახ. ინტერნაციონალმა თეორიულად მოსძებნა გასამიჯნავი პლატფორმა რეფორმისტებისა და კომუნისტებისაგან. პრაქტიკულ პოლიტიკის დროს ყოველთვის რეფორმისტების მხარეზედ იდგნენ და ამათ პოლიტიკური კონტაქტის [illegible] ჰქონდათ გაბმული მეორე ინტერნაციონალთან, დღეს ამ ორგანიზაციის პარტიები დეზერტირების როლში მოგვევლინენ და დრო გამოშვებით გადადიან რეფორმისტების პარტიაში.

დღეს არის პრაქტიკული პოლიტიკის ეპოქა; თეორიული მჯელობა და აბსტრაქტიული კითხვები ადგილს უთმობენ რეალურ პროგრამასა და პრაქტიკულ ნაბიჯებს. ეს პოლიტიკა გვეუბნება, რომ რეაქციასა და რევოლუციას შორის პრაქტიკულად შეუძლებელი არის შუაზედ დგომა, თუ [illegible] ერთის [illegible] გაძლიერებ, მეორეს შუა ადგილს კი ვერ მოსძებნი დასაყრდნობად. პაულ ლევისა და სერატის მაგალითები ნათლად მოწმობენ ამას, ორივემ არ დაეთანხმენ კომინტერნის პოლიტიკას და ჩამოშორდნენ მას. ლევი [illegible] თავდაპირველად, ერთ ხანს მოინდომა ცენტრში შეჩერება, მაგრამ ეს შეუძლებელი შეიქნა და რეფორმისტებში გადასახლდა სამუდამოდ. სერატიმაც ასეთი პროცესი განიცადა—ფაქტიურად მისი პარტია (იტალიური) კომუნისტების საწინააღმდეგო ბანაკში მოხვდა. რევოლუციონურმა სერატიმ იგრძნო თავისი უხერხული მდგომარეობა და ბოლოს დამარცხებული უკან დაუბრუნდა კომინტერნს. მისი მონანიება ჩვენ უკვე ამოვიკითხეთ გაზეთებში. ეს ფაქტები მეტად საგულისხმიეროა.

ჩვენი პარტიის პირველმა ყრილობამ კომინტერნი დაასახა ერთად ერთ რეალურ ძალად, რომელსაც შეუძლია პირნათლად ჩაატაროს სოციალისტური რევოლუცია. ჩვენი პრაქტიკული პოლიტიკაც კომინტერნის საერთო პლატფორმასთან არის შეწონილი.

ამხანაგებო! ჩვენი ერისა და ჩვენი პარტიის წინაშე ამ ჟამად მეტად დიდი მნიშვნელობის საკითხი არის წამოჭრილი; როგორც თქვენ უკვე მოგეხსენებათ მმართველმა კომუნისტურმა პარტიებმა და ცალკე რესპუბლიკებმა უკრაინის, ბელორუსეთის და ამიერ კავკასიის ფედერაციის წამოაყენეს მოკლე საკითხად საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის განმტკიცება. ამ კავშირის რეალურად გა[illegible] მუშაობენ და წინასწარ ნიადაგს ამზადებენ. ითხზება პროექტები, მუშავდება თეზისები, რომლის შინაარსი აგებული არის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის განხორციელების საფუძვლებზედ.

საბჭოთა მოღვაწეების შორის არ არის განსხვავება კავშირის შექმნის საკითხში; არც ერთი საბჭოთა რესპუბლიკა არ ეწინააღმდეგება იმას, რომ იურიდიულს ფორმებში ჩამოყალიბდეს და გარკვეული სახე მიიღოს რესპუბლიკების დაკავშირების საქმემ. ფაქტიურად ეს კავშირი უკვე არსებობს სხვა და სხვა ხელშეკრულებების ნიადაგზედ, უკვე დიდი ხანი არის მას შემდეგ, რაც საბჭოთა რესპუბლიკებს შორის განმტკიცდა საკავშირო ურთიერთობა. სამხედრო საქმეები, მთელს რიგ პოლიტიკურ კითხვებში და პოლიტიკურ-დიპლომატიურ ურთიერთობის საქმეში როგორც შიგნით ერთმანეთთან დამოკიდებულებაში, ისე გარეშე სახელმწიფოებთან ამ რესპუბლიკათა შორის კონტაქტი არსებობს. უფრო მეტი, არის გაერთიანებული მთელი რიგი სახელმწიფო დაწესებულებისა. ჩვენი რესპუბლიკების განვითარება და ბრძოლა მოზღვავებულ მტრებთან და მთელი რიგი ობიექტიური გარემოებისა აქ ქმნიან ისეთს პირობებში აყენებდა, რომ მათ გარეშე ასეთი ურთიერთობის. არსებობა არ შეეძლოთ. ეს იყო ისტორიულად აუცილებელი პირობა. მაგრამ იმავე ისტორიულმა პირობებმა ამ ურთიერთობას ისეთის მაჩინჯი სახე მისცა, იმდენად არია რესპუბლიკების ფუნქციები და მოვალეობანი ერთი მეორეში, რომ მდგომარეობის ასე გაგრძელება მეტად შეაფერხებს ჩვენი წარმატების საქმეს. ასე რომ იგივე ისტორიული აუცილებლობა ჩვენ გვაიძულებს გადავსინჯოთ ჩვენი ურთიერთობის საქმე. მოვახდინოთ მისი რაციონალური რევიზია და გაუმჯობესებისა და არევ-დარევის მოსპობით ნათელსა და გარკვეულ იურიდიულ ფორმებში ჩამოვაყალიბოთ ჩვენი ურთიერთობა. ეს [illegible] ისტორიული [illegible] მოთხოვნილებანი. ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ როგორც საერთაშორისო მდგომარეობას, ისე ჩვენს შინაურ ვითარებასაც და ამის მიხედვით ვაშენოთ ჩვენი სახელმწიფოების სოციალ-პოლიტიკური საფუძვლები. მთელი რიგი საერთაშორისო და საშინაო მომენტებისა ჩვენ გვკარნახობენ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის მტკიცე კავშირის განმტკიცებას. ამ მომენტების შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი, ახლა აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომ საბჭოთა რესპუბლიკებს და მათ მოღვაწეთა შორის არ არის წინააღმდეგობა კავშირის შექმნის საკითხში. ასეთი კავშირის შექმნას თითქმის ყველანი ერთხმად მოითხოვენ. დავა და წინააღმდეგობა იბადება სწორედ მაშინ, როდესაც ისმება მეორე საკითხი: ფორმა და მეთოდები დაკავშირებისა.

ვინ უნდა შევიდეს ამ კავშირში და როგორი სახით. როგორი უნდა იყოს დაკავშირების ფორმები და როგორი უნდა შეიქმნეს საკავშირო ხელისუფლება, რა უფლებები უნდა გადაეცეს კავშირს და რა დარჩეს ცალკე ერთეულების კომპეტენციაში. აი მთელი რიგი საკითხებისა, რომელიც შესაძლებელია სხვა და სხვა გვარად იქმნეს გაგებული და რომელიც მან თითქოს იწვევს წინააღმდეგობას თვით კომუნისტურ პარტიაშიაც

თუ ყოველივე ზემოდ ნათქვამს ჩვენ გავითვალისწინებთ და მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებასაც, რომ ჩვენ უკვე ფაქტიურად ვიმყოფებით საბჭოთა რესპუბლიკების დაკავშირების პროცესში ჩვენს პარტიას დასჭირდება არსებითი ანგარიში გაუწიოს შექმნილ გარემოებას და პირობებს თავისი პოლიტიკის გამომუშავების დროს. ფორმალურად ჩვენ და მთელი ჩვენი რესპუბლიკები სოციალისტურ მშენებლობის ახალ პერიოდში ვიმყოფებით. ფორმალურად მტკიცდება ახალი ურთიერთობა, მტკიცდება ახალი დამოკიდებულება და კავშირი იმ ერებსა და ხალხს შორის, რომელნიც სულ ახლო წარსულში, ცარიზმის ეპოქაში, ანტაგონისტურ განწყობილებაში იმყოფებოდნენ. ყოფილი რუსეთის ტერიტორიაზედ მოსახლე ერებმა სამი პერიოდი განვლეს თავიანთ ურთიერთობის დროს. პირველი პერიოდი ეკუთვნის ცარიზმის ეპოქას, როდესაც რუსეთის სახელმწიფოებრივი ცხოვრება იმპერიალისტურ ცენტრალიზმისა და ბიუროკრატიზმის ნიადაგზედ იყო აშენებული. ამ წყობილებაში ბატონობდა სხვა ერებზედ ერთი ერი; ველიკორუსეთი იყო მპყრობელი ნაცია, რომლის ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა დაახლოვებით 55 პროცენტიანი სხვა და სხვა ერების ხალხი. ამ პერიოდში დამონებული ერების მთავარი მიზანი იყო თავიანთი სუვერენობის აღდგენა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის მოპოვება. ეს კი შეუძლებელი იყო, სანამ არსებობდა რუსული ცარიზმი, ამიტომ მთელი მათი პოლიტიკა მიმართული იყო რუსული ცარიზმის დასამხობად, ამით დაჩაგრული ერები რევოლუციონური როლს თამაშობდნენ რუსეთში. მეორე პერიოდი სწორედ ამ ბატონობის დაშლიდან იწყება, როდესაც რუსეთის ცარიზმის საფუძვლები გამოეცალა და რევოლუციონურმა მოძრაობამ უფართო გასავალი მისცა დაჩაგრულ ერებს. ოქტომბრის დიდი გადატრიალების წყალობით ერებმა აღადგინეს თავიანთი სახელმწიფოებრიობა და სუვერენობა დამოუკიდებლობის ფორმებში. ეს იყო პროცესი პოლიტიკური დეცენტრალიზაციისა და რევოლუციის ნაციონალიზაციისა. დღეს უკვე იწყება მესამე ახალი პერიოდი, პერიოდი პოლიტიკური ინტეგრაციის. საფუძველი უნდა ჩაეყაროს და განმტკიცდეს ერთა შორის ძმური ურთიერთობა და კავშირი.

ჩვენი ერების პოლიტიკური მდგომარეობის ყველა ამ პერიოდებში ჩვენ გარკვეული პროგრამით გამოვდიოდით ეროვნულ საკითხში და თუ ისტორიულ საზომით შევხედავთ საკითხს და ჩავაყენებთ მას გარკვეულ კონკრეტიულ პირობებში ეს პროგრამა ყოველთვის სწო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალაქ ტფილისის მცხოვრებთა რაოდენობა

მთელ წელთა რიგის განმავლობაში ქ. ტფილისმა არ იცოდა თავის მცხოვრებთა რაოდენობა. ამბობდნენ, თითქო ტფილისში ითვლებოდეს დაახლოებით 500,000 ან 800 ათასი მცხოვრები.

როდესაც სტატისტიკოსები, რომელთაც ყველაზე უკეთ შეეძლოთ გამოერკვიათ მცხოვრებთა რაოდენობა, ამბობდნენ, რომ მცხოვრებთა რიცხვი ტფილისში მაქსიმუმ 300 ათას კაცს უდრის, ამ რიცხვს არავინ უჯერებდა.

ეხლა ეს „დიდი საიდუმლოება" ჩვენთვის გამორკვეულია.

სრულიად საქართველოს ქალაქების მცხოვრებთა აღწერა, რომელიც ცენტრალური სააღწერო ბიუროს მიერ დიდის დაკვირვებით და ორგანიზაციის მხრივ თითქმის უდანაკლისოდ იქმნა ჩატარებული, გვაძლევს მცხოვრებთა განსაზღვრულ რიცხვს.

ქალ. ტფილისის თავის ხაზში მცხოვრებთა რაოდენობა უდრის 230 670 კაცს, ჯარის ნაწილების გამოკლებით.

ზოგს ეხლაც შეუძლია იჭვი შეიტანოს ამ რიცხვის სისწორეში, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ქალაქში აწერილია 12.368 მფლობელობა ე. ი. იმ მფლობელობის რაოდენობას, რომელიც აღნიშნულია ყოფილ ქალ. მმართველობის და ქალ. ადმასკომის სარეგისტრაციო წიგნებში, მაშინ ცხადი იქნება, რომ აღწერის გარეშე არ დარჩენილა არც ერთი მფლობელობა.

ვინაიდან არც ერთი მფლობელობა არ არის გამოტოვებული, აქედან ცხადია, რომ ამ სახლების მცხოვრებნიც აღრიცხულნი არიან.

მცხოვრებთა რაოდენობა რაიონების მიხედვით აღირიცხება შემდეგნაირად:

| | |
|---|---|
| 1-ლ რაიონში | 23,703 |
| 2 „ | 18 830 |
| 3 „ | 17.131 |
| 4 „ | 17 891 |
| 5 „ | 14.607 |
| 6 „ | 10 379 |
| 7 „ | 21.751 |
| 8 „ | 17.706 |
| 9 „ | 28.864 |
| 10 „ | 26 948 |
| 11 „ | 18 326 |
| 12 „ | 13.243 |
| რკინის გზის ლიანდაგის ხაზზე: | |
| ტფილისის რაიონში | 484 |
| ნავთლუღის „ | 807 |
| სულ | 230,670 |

1917 წლის აღწერამ დაგვანახა, რომ ტფილისში ორთავე სქესის რაოდენობა უდრიდა 231.141 კაცს. ამ რიგად ტფილისის მცხოვრებთა რაოდენობა თითქმის უცვლელი რჩება. მაგრამ ეს ასე არ არის. 21 წლის განმავლობაში ე. ი. 1876—წლიდან დაწყებული 1897 წლამდე საშუალოდ ყოველ წლიურად ტფილისის მცხოვრებთა რაოდენობა იზრდებოდა 3071 კაცით. (1876 წ.) აღწერის მიხედვით ტფილისის მცხოვრებთა რაოდენობა უდრიდა 91.668. 1897 წ.—კი—146.164 კაცს, 1897 წლიდან 1917 წ. ყოველ წლიურად საშუალოდ მცხოვრებთა რაოდენობა იზრდებოდა 2832 კაცით. ე. ი. საერთოდ ტფილისის მცხოვრებთა რაოდენობა მატულობდა ერთნაირად.

მაგრამ თუ ამ 6 წლის განმავლობაში (1917—1922 წ.წ.) ტფილისის მცხოვრებთა რაოდენობა უცვლელად დარჩა ეს აიხსნება იმ პოლიტიკური და ეკონომიური პირობებით, რომელშიაც მდებარე ჰქონდათ როგორც ამიერ-კავკასიის, ისე ტფილისის ცხოვრებაშიაც. სწორედ ამ პირობებმა შექმნეს გაძლიერებული ემიგრაცია და იმიგრაცია, რის გამო ძნელი ხდება, როგორც ზუსტად ისე მცხოვრებთა მექანიკური ზრდის აღრიცხვა.

მაგრამ ჩვენ ისევ დავუბრუნდეთ 230 670 რიცხვის შემოწმებას.

მიმდინარე წელს, ზაფხულში ქალ. სტატისტიკური განყოფილების მიერ გამოკვლეულ იქმნა 6993 მფლობელობა, რომელშიაც აღმოჩნდნენ 144081 მცხოვრებნი ე. ი. მფლობელობაზე საშუალოდ მოდიოდა 20,6 სული.

ამ ცნობების მიხედვით 12000 მფლობელობაში—ქალ. სტატისტიკურმა განყოფილებამ გამოიკვლია მაშინ 247200 მცხოვრებნი ე. ი. დაახლოვებით იმდენი, რამდენიც ეხლა, რომ მიუმატოთ ამ 230670 რიცხვს—დროებით ტფილისიდან წასულნი.

ამ რიგად ამ 230670 რიცხვს შეიძლება სრულიად ვერწმუნოთ.

რაიონების მიხედვით 1917 წ. შედარებითი ცნობები გვაძლევს შემდეგ სურათს.

**მცხოვრებთა რაოდენობა რაიონების მიხედვით.**

| რაიონი. | 1917 წ. | 1922 წ. | მოემატა + დააკლდა — % 1922 წ. |
|---|---|---|---|
| 1. | 24167 | 23703 | — 1,9 % |
| 2. | 18260 | 18830 | + 3,1 |
| 3. | 12211 | 17131 | + 40,2 |
| 4. | 14355 | 17891 | + 24,6 |
| 5. | 9679 | 14607 | + 50,9 |
| 6. | 15524 | 10379 | — 33,1 |
| 7. | 23105 | 21751 | — 5,8 |
| 8. | 20979 | 17706 | — 15,6 |
| 9. | 25342 | 28864 | + 13,9 |
| 10. | 21679 | 26948 | + 24,3 |
| 11. | 23668 | 18326 | — 22,6 |
| 12. | 15085 | 13243 | — 12,2 |

ამ რიგად 1922 წ. შედარებით 1917 წელთან საგრძნობლად შემცირდა მცხოვრებთა რაოდენობა 1-ლ რაიონში (1,9 პროც.) მე-6 რაიონში (33,1 პროც.) მე-7 რაიონში (5,8 პროც.) მე-8-ში (15,6 პროც.) მე-11-ში (22,6 პროც.) მე-12-ში (12,2 პროც.) რაიონებში ე. ი. განაპირა უბნებში.

მცხოვრებთა რაოდენობა გაიზარდა მე-2 რაიონში (3,1 პროც.) მე-3-ში (40,3 პროც.) მე-4-ში (24,6 პროც.) მე-5-ში (50,9 პროც.) მე-9-ში (13,9 პროც.) მე-10-ში (24,3 პროც.) ერთი სიტყვით მცხოვრებთა ზრდა შემჩნეულია ცენტრალურ და ქალაქის ცოტათ თუ ბევრად ცოცხალ ნაწილებში.

ამ აღწერამ დაგვანახა, რომ მცხოვრებლები მიისწრაფიან ცენტრისაკენ. განაპირა უბნებში აღმოჩენილია ბევრი სახლები და ბინები დაბეჭდილ-[illegible].

ქალ. ცენტრალურ ნაწილებში ბევრი მფლობელობა დაწესებულებების მიერ არიან დაკავებულნი, ამით აიხსნება ქალ. ცენტრალური ნაწილის გადატვირთული მჭიდრო მოსახლეობა და შემცდარი წარმოდგენა, მსჯელობენ დროსთან შედარება ქალაქის მცხოვრებთა 100 და 200 პროც. ით გაზრდის შესახებ.

გადავიდეთ მფლობელობებზე: მფლობელობები ნაჩვენებია:

| | |
|---|---|
| 1 რაიონში | 1541 |
| 2 „ | 765 |
| 3 „ | 534 |
| 4 „ | 741 |
| 5 „ | 856 |
| 6 „ | 1000 |
| 7 „ | 1294 |
| 8 „ | 941 |
| 9 „ | 1464 |
| 10 „ | 806 |
| 11 „ | 1846 |
| 12 „ | 511. |
| რკინის გზის ლიანდაგზე: | |
| ტფილისის რაიონში | 28. |
| ნავთლუღის „ | 41 |
| სულ | 12368 |

გაშენებული მფლობელობანი.

1917 წლის აღწერით იყო 11,952 მფლობელობა. მიმდინარე წელს 316 მფლობელობით მეტი აღმოჩნდა. აქედან ცხადია, რომ ქალ. აღმშენებლობა სრულიად არ შეჩერებულა და ამ 5 წლის განმავლობაში მოემატა 316 მფლობელობა.

ეხლა გადავიდეთ საცხოვრებელ ბინებზე:

ნაჩვენებია ქალაქში 45,259 ბინა. 1917 წელს კი გვქონდა 56072 ბინა. ამ რიგად ბინების რაოდენობა ამ 5 წლის განმავლობაში შემცირდა 10813 ბინით, ე. ი. 19,3 პროც.-ით, რაიც აიხსნება დაწესებულებათა რაოდენობის გადიდებით.

საცხოვრებელ ბინების 19,3 პროც. შემცირებას, რასაკვირველია; არ შეეძლო მძიმედ არ ემოქმედნა მცხოვრებლებზე. ამ გარემოებამაც გააძლიერა შემცდარი წარმოდგენა ქალაქელ ტფილისის მცხოვრებთა საშინელ ზრდაზე.

რაიონების მიხედვით ბინები ნაწილდებიან შემდეგნაირად:

| | |
|---|---|
| 1 რაიონში | 4341 |
| 2 „ | 3274 |
| 3 „ | 2692 |
| 4 „ | 3391 |
| 5 „ | 2796 |
| 6 „ | 2119 |
| 7 „ | 4302 |
| 8 „ | 4428 |
| 9 „ | 5232 |
| 10 „ | 5175 |
| 11 „ | 4293 |
| 12 „ | 2923 |
| რკინის გზის ლიანდაგის ხაზზე: | |
| ტფილისის რაიონში | 97 ბინა |
| ნავთლუღის „ | 196 „ |
| სულ | 45,259. |

1917 წელთან შედარებით საცხოვრებელ ბინების რაოდენობა შემცირდა ყველა რაიონებში, ქალ. ცენტრალურ ნაწილში, რასაკვირველია, ყველაზე მეტად, მაგალითად: მეორე რაიონში 1917 წ. საცხოვრებელ ბინების რიცხვი უდრიდა —5219, ე. ი. შემცირდა 37,2 პროც., მაშინ როდესაც მცხოვრებთა რიცხვი გაიზარდა 3,1 პროც.-ით, მესამეში 1917 წ. საცხოვრებელ ბინების რაოდენობა უდრიდა 4650, ეხლა ეს რიცხვი შემცირდა 42,1 პროც.-ით, მცხოვრებთა რიცხვი კი გაიზარდა 40,3 პროც.-ით. მეოთხეში 1917 წ. საცხოვ. ბინ. რაოდენობა 3886 ეხლა გვაქვს 13,0 პროც.-ით ნაკლები, მცხოვრებთა რიცხვი კი გაიზარდა 24,6 პროც. მეხუთეში ბინების რაოდენობა შემცირდა 23,7 პროც.-ით, მცხოვრებთა რაოდენობა გაიზარდა 56,9 პროც.-ით, მეცხრეში ბინების რიცხვი შემცირდა 13,5 პროც., მცხოვრებთა რიცხვი გაიზარდა 13,9 პროც.-ით. მეათეში საცხოვ. ბინ. რიცხვი შემცირდა 2,2 პროც., მცხოვრებთა რიცხვი კი გაიზარდა 24,3 პროც.-ით.

ბინების რაოდენობის ასეთი ძლიერი შემცირება აიხსნება ქალ. ცენტრალურ ნაწილებში დაწესებულებების ზრდით. დაწესებულებების გამრავლებით აიხსნება ცენტრში მცხოვრებთა ძლიერი ზრდა (მუშები და მოსამსახურეები) განაპირა უბნების ცენტრისკენ მიმზიდველობა, განაპირა უბნების მცხოვრებთა რაოდენობის შემცირება.

სწორედ ეს ცენტრის გადატვირთული მჭიდრო მოსახლეობა და ბინების რიცხვის შემცირება ჰქმნის შემცდარ წარმოდგენას ქალ. მცხოვრებთა რიცხვის გადამეტებულ ზრდაზე.

აღწერამ გვაჩვენა, რომ საბინაო პოლიტიკაში აუცილებლად უნდა შეტანილ იქნას სერიოზული კორექტივები. პირველად ყოვლისა, საჭიროა დაწესებულებების შემჭიდროება, შეზღუდვა, გარდა ამისა ბევრი დაწესებულებების [illegible] ლად გადატანა [illegible] უბნებში (რასაკვირველია [illegible] არ დააბრკოლებს) ცენტრის განტვირთვის და მიყრუებულ განაპირა უბნების გამოცოცხლების მიზნით, გარდა ამისა საჭიროა გაძლიერდეს მიმოსვლა განაპირა უბნებთან, რომ ისინი არ იქმნან ქალაქიდან მოწყვეტილნი.

საერთოდ 1922 წ. აღწერამ, წინასწარი ცნობების მიხედვით, მოგვცა ქალ. ტფილისის მოსახლეობის სწორი სურათი.

შემდეგი დამუშავება ამ თავისი გეგმით მდიდარი მასალას მოგვცემს მცხოვრებთა და ქალაქის ცხოვრების მრავალ მხარეების უფრო გარკვეულ სურათს, ურომლისოდაც ძნელია ქალაქის მართვა-გამგეობა და მცხოვრებთა სხვა და სხვა საჭიროებათა დაკმაყოფილება.

ა. რუხაძე

# გუშინდელი სკოლა

1.

**ქართული გიმნაზია**

პირველ რევოლიუციის დროს ამ სასწავლებლის იატაკი შიო ჩიტაძის სისხლმა შეღება, გამხეცებულმა ნახევრად ველურმა მეფის ყაზახებმა არ დაინდეს თვით სასწავლებლის გამგე—მასწავლებელი და მას ყელი გამოსჭრეს.

ამ ტრაგედიის შემდგომ ქართულ გიმნაზიას ნ. ცხვედაძის რკინის ხელმა საკუთარი შენობა—სასახლე აუგო.

ეს შენობა ტფილისის რომელიმე მაღალ ბექზე არ არ არის ამართული ის ვაკეზეა ნაშენი, მაგრამ მან იმ თავიდანვე ამაყად და ბატონად დაუწყო ცქერა მთელ ტფილისს. რკ. გზის რომელ ხაზიდანაც არ უნდა უახლოვდებოდეთ თქვენ ტფილისს, თქვენ თვალთა ისარს პირველად ვეებერთელა თეთრი შენობა მოხვდება.

ბევრ ქართველს ადრევე ათქმევინა. ამ შენობამ რომ ეს სასახლე ვინ უწყის ერთ დროს ქართულ მეცნიერების—უნივერსიტეტის ტაძრად იქცესო.

ერთხელ ციხეში ქართველ მუშებთან საუბრის დროს სხვათაშორის ტფილელმა მუშამ ა. ბა—ძემ მითხრა: ჩვენ მუშებს იშვიათ იმედს გვრიდა ქართულ გიმნაზიის დანახვა. ვაკესაკენ სისტემატიურად დავსეირნობდით ხოლმე, ჟამსა მოცალეობისას და ღიმილით შევჰყურებდით ქართულ გიმნაზიას, ყველა იქ მოსწავლე ნორჩი ბავშვები საქართვე-

---

რი იყო, შეიძლება პოლიტიკა და ტაქტიკა ეროვნული პროგრამის ცხოვრებაში გატარებისათვის ვერ იყო სწორი, მაგრამ იგი პროგრამა სავსებით გასამართლებული იყო ისტორიული საზომით.

ჩვენმა წინაპრებმა შესძლეს ნათელი და სწორი პროგრამის წამოყენება გარკვეულ ისტორიულ მომენტებში, მხოლოდ ტაქტიკის საქმეში დამარცხდნენ. ჩვენ უნდა გამოვასწოროთ მამათ ცოდვები და უნდა შევსძლოთ ჩვენს პერიოდში, რომელიც არსებითად განსხვავდება თავისი შინაარსითა და ვითარებით წარსულ პერიოდებისაგან, არა მარტო სწორი ეროვნული პროგრამის წამოყენება, არამედ სწორი ტაქტიკის გამონახვაც მის გასამტკიცებლად.

ჩვენ გვიხდება ცხოვრება და მოღვაწეობა რევოლიუციონურ პერიოდში. დიად სოციალურ ტრანსფორმაციის ხანაში. ჩვენი ხანა არის სოციალისტური რევოლიუციის ხანა: როდესაც ირღვევა ძველი კაპიტალისტური მეურნეობის ფორმები და ნიადაგი ეყრება ახალს სამართლიანს ურთიერთობას. ეს არის სამეურნეო ცხოვრებაში ცნობილი გარდამავალი პერიოდი, კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალი სოციალ-პოლიტიკური წყობილება, რომელიც თავისი შინაარსით განსხვავდება როგორც პოლიტიკური, ისე მეურნეობისაგან. უკეთ ეს არის კაპიტალისტური და სოციალისტური კატეგორიების შერეული სამეურნეო ფორმაცია. თუ ჩვენი წინაპრები ეროვნულს პროგრამას აყენებდნენ რეაქციის ხანაში და რევოლიუციონური მოძრაობის პირველ პერიოდში, ჩვენ გვიხდება ეროვნული პროგრამის და მასთან ეროვნული ტაქტიკის წამოყენება სულ სხვა გვარ უკვე განმტკიცებულ სოციალ-პოლიტიკურ წყობილებაში, გარდამავალ პერიოდში. ეს ახალი სოციალ-პოლიტიკური წყობილება ჩვენგან მოითხოვს ეროვნული საკითხის ახალ ნიადაგზე დაყენებასა და ახალს ტაქტიკას... ძველი მეთოდებითა და

გადგმით შეუძლებელი არის თანამედროვე ვითარების ახსნა; ახალმა რევოლიუციონურმა პერიოდმა ძირითადი გარდატეხა და რღვევა მოახდინა სოციალისტურ აზროვნებაში და ძველთან შედარებით რადიკალურად საწინააღმდეგო ნიადაგზედ დაშენა სოციალისტური პროგრამმა. ვინც თანამედროვე პერიოდში, რომელიც ახალ მომენტებითა და შინაარსით ხასიათდება, ძველი მეთოდებითა და პროგრამმით გამოდის, ის დღევანდელ ვითარებას ვერაფერს გაუგებს და ძალა-უნებურად კონტრ-რევოლიუციის წისქვილზედ ასხამს.

ეკონომიურად ჩვენს პერიოდს ახასიათებს ახალი სამეურნეო სისტემა კაპიტალიზმისა და სოციალიზმის შერეული ფორმაცია, პოლიტიკურად კი მშრომელთა დიქტატურა და ერთნაირი ეკონომიური და სოციალური სტრუქტურის მქონე ერთეულების კონცენტრაცია და თავის მოყრა.

ამ ძირითად საფუძვლებიდან უნდა გამოვიყვანოთ ჩვენი ეროვნული პროგრამმა. წინეთ ჩვენი ერის სოციალური წყობილება უნდა ავაშენოთ გარდამავალ პერიოდის ეკონომიკაზედ. გარდა ჩვენ უნდა გამოვნახოთ ჩვენისთანა ტიპის და მიზნებით გამსჭვალული რესპუბლიკები მათთან პოლიტიკური კავშირის გასამტკიცებლად. საკითხის ამ გვარად დაყენება არ ძალუძს ძველი მეთოდებისა და პროგრამმის მქონე ხალხს. ამ მხრივ მათი პროგრამები ისტორიულ ნაშთს უფრო წარმოადგენს, ვინემ ცხოვრების ვითარებასთან შეფარდებულსა და მამოძრავებელ ცოცხალ ფაქტორს.

ყოველივე ეს გარემოება მიღებული უნდა გვქონდეს მხედველობაში, როდესაც ჩვენ ვიხილავთ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს საკითხს.

კონკრეტიულის გზით რომ ვილაპარაკოთ ჩვენი ეროვნული, ტაქტიკის შემუშავების დროს გვჭირდება პასუხი გავცეთ სამს უმთავრეს საკითხს: 1) თუ რამდენად აუცილებელია და სასარგებლოა საბჭოთა რესპუბლიკების დაკავშირება. 2) როგორ ფორმებში არის შესაძლებელი ამ კავშირის განმტკიცება და 3) კომპეტენციებსა და უფლების განაწილების საკითხი კავშირსა და ცალკე რესპუბლიკებს შორის. ჩვენ შევეცდებით ყველა ამ კონკრეტულ ცალ-ცალკე გავსცეთ პასუხი იმ სახით, როგორაც მას ჰქონდა ჩვენი პარტიის მთავარი კომიტეტი.

**2. სარგებლიანობა და აუცილებლობა საბჭოთა რესპუბლიკების დაკავშირებისა.**

საზოგადოება ჩვენ გვიცნობს განსაკუთრებით საქართველოში, როგორც თავისუფალ ერთა შორის თავისუფალი კავშირის მქადაგებელ პროფესიონალ აგიტატორებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველგან და ყოველთვის ამ კავშირის რეალურად შესაქმნელი გამოვიდეთ. უწინარეს ყოვლისა კავშირის შექმნისთვის საჭიროა წინასწარი სოციალ-პოლიტიკური ნიადაგი, რომელზედაც შესაძლებელი ხდება ახალი ურთიერთობის აგება. უდავოდ უნდა იქნეს მიღებული ის დებულება, რომ არასოდეს ისეთი რეალური ნოყიერი ნიადაგი არ ყოფილა შექმნილი ერთა დაკავშირების საქმეში, როგორიც არის დღეს შექმნილი საბჭოთა რესპუბლიკების ცხოვრებაში. ისტორიული ცხოვრების ვითარებამ და ერთგვარი სოციალ-პოლიტიკური წყობილების განმტკიცებამ რეალურად შექმნა ნოყიერი საფუძველი ერთა თავისუფალი კავშირისათვის. მაგრამ არა მარტო ნიადაგისა და შესაძლებლობის საზომით ისმება კავშირის საკითხი. ამ კავშირს მოითხოვს რევოლიუციის უმაღლესი კანონი გარდამავალი პერიოდის სოციალ-პოლიტიკური წყობილების რეალური ინტერესები. როგორც აღვნიშნეთ თანამედროვე ეპოქა არის სოციალურ კლასთა დაპირისპირებისა და სასტიკი ბრძოლის ხანა. ეს ბრძოლა ხდება არა მარტო ცალკე ერთეულების შინაურს ცხოვრებაში, არამედ საერთაშორისო მასშტაბით. რევოლიუცია და იმპერიალიზმი პროლე-

ტარიატი და ბურჟუაზია, სოციალიზმი და კაპიტალიზმი ერთი მეორეს უპირისპირდება მსოფლიო მასშტაბით. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის მთავარ ფაქტორს წარმოადგენს მსოფლიოში არსებობა კაპიტალისტური ქვეყნებისა და საბჭოთა რესპუბლიკების. ეს ფაქტორები ხდებიან ცენტრალურ ფიგურად თანამედროვე ურთიერთობისა და მსოფლიო წონასწორობის საკითხის დამოკიდებულება ამ ფაქტორთა შორის ძალთა და ტონს მისცემს თანამედროვე ვითარებას. კაპიტალისტური ქვეყნების მთავარი მიზანი არის მოსპობა და განადგურება საბჭოთა ქვეყნების, რომელიც თავის მხრივ გაანადგურებს უქმად კაპიტალისტურ მსოფლიოს. ბუნებრივი არსებობა მსოფლიოში ამ ორი მოწინააღმდეგე ძალების, შეუძლებელი არის. ამიტომ ერთიმა მათგანმა უფრო სუსტმა და ჩამორჩენილმა ადგილი უნდა დაუთმოს უფრო ძლიერსა და მომქმედს. ეს არის ისტორიული ცხოვრების ზოგადი კანონი, მაგრამ ასეთი დასკვნა შედეგი იქნება ხანგრძლივი პროცესებისა. ბრძოლას საბჭოთა ქვეყნისა და კაპიტალიზმს შორის ახასიათებს მრავალგვარი მნიშვნელოვანი მომენტები. ყოველი მათგანი სცდილობს სამხედრო თავდასხმით, ეკონომიური ბლოკადით და პოლიტიკური ძალდატანებით დაასუსტოს მოწინააღმდეგე მხარე. საბჭოთა რესპუბლიკების ხუთი წლის ისტორიამ ნათლად გვაჩვენა ის, თუ რა მძლავრ და რამგვარი ხერხით სცდილობს კაპიტალიზმი სოციალისტური მოძრაობის ჩაკვლას. პირველ ხანებში მსოფლიოს კაპიტალისტურ ქვეყნებში სცდილობდნენ შესაძლებელი თავდასხმით და ეკონომიური ბლოკადით აგრეთვე შინაურ აჯანყებით მოესპობა საბჭოთა ქვეყნებისას. მაგრამ რევოლიუციონურ ხალხის ძლიერმა ნებისყოფამ ასეთი განზრახვებს ენერგიული წინააღმდეგობა გაუწია და იმპერიალისტურ ქვეყნებისათვის აუცილებელი შეიქმნა დათმობის გზაზე წასვლა. დღეს იმპერიალიზმი მშვიდობიანობის პოლიტიკური ძალდატანების და ეკონომიური იზოლიაციის საშუალებით სცდილობს ჩვენი ქვეყნების დასუსტებასა და დამონებას, აქ ბრძოლის მეთოდები შეიცვალა მხოლოდ მიზანი დარჩა ერთი. განადგურება ჩვენი რესპუბლიკებისა.

ყველა ამ პერიოდებსა თუ მომენტებში აუცილებელი ხდება რესპუბლიკათა გაერთიანებული გამოსვლა. სტრატეგია, ეკონომიკა და პოლიტიკა აქ ერთმანეთზე არის გადახლართული. თუ იმპერიალისტურს სამხედრო შემოტევას არ დაუპირისპირდება გაერთიანებული ძალა რევოლიუციისა დამარცხება აუცილებლად მოგველის. ვერც ერთი პატარა საბჭოთა რესპუბლიკა ვერ შესძლებს დამოუკიდებლად გაუმკლავდეს მტერს. ეს გაუჭირდება დიდ რესპუბლიკასაც თუ მას არ დაეხმარა სხვა რესპუბლიკის ძალაც. სამხედრო მდგომარეობის დროს იზოლიაციაში ყოფნა უკვე დამარცხებას უდრის. ეს მტკიცდება ჰუნგრეთის, ფინლანდის, ბალტიკის საბჭოთა რესპუბლიკების მაგალითებიდანაც. ეს რესპუბლიკები დაეცნენ კაპიტალის ერთ შემოტევით, სამაგიეროდ გაერთიანებულმა ძალამ საბჭოთა რუსეთისამ შესძლო ინტერვენციების გადატანა.

ასევე შეიძლება პოლიტიკურ ურთიერთობის საქმეშიაც კაპიტალისტურ ქვეყნებთან. როგორც აღვნიშნეთ თანამედროვე პერიოდი არის შეთანხმებისა და მოლაპარაკების პერიოდი აღნიშნულ ძალთა შორის. ამ პერიოდში კაპიტალისტური ქვეყნები სცდილობენ ეკონომიურ და პოლიტიკურ ძალებით შეავიწროვონ საბჭოთა ქვეყნები და დააყენონ ისინი თანდათანობით ლიკვიდაციის გზაზედ. თუ ამ ძალას არ დაუპირისპირდა გაერთიანებული ფრონტი, არასასურველი შედეგებით წინაშე დავდგებით. გაერთიანებული ძალა საბჭოთა რესპუბლიკებისა და მათი ამგვარი სახის გამოსვლა საგარეო ფრონტზე აიძულებს კაპიტალისტურ ქვეყნებს დათმობის გზაზედ დადგომას და გაამაგრებს ჩვენი რესპუბლიკების არსებობას.

ეკონომიურად გარეშე კაპიტალი არ ფიქრობს დახმარება გაუწიოს საბჭოთა ქვეყნებს. ის სარგებლობს ჩვენი რესპუბლიკის გაჭირვებული ეკონომიური მდგომარეობით და იყენებს მას როგორც ფაქტორს რევოლიუციის განადგურებად. ასეთ პირობებში საჭიროა ხდება თვით რესპუბლიკათა შორის მიზანშეწონილი დახმარება. მათი სახსრებათა და სამეურნეო ძალების შესაფერისად გამოყენება.

(შემდეგი იქნება)

ლოს მხსნელ და მომავალ გმირე-ბად წარმოგვიდგინა. ქართულ გიმნაზიელის დანახვა ქუჩაში მიუხედავად მისი უსაზღვრო სიცელქისა ჩვენში იწვევდა აღტაცებას. კლასიკურ გიმნაზიის ქართველ მოწაფის დანახვა კი ჩვენ მოგვიცავდა: შავი ფიქრებით, ვიცოდით, რომ კლასიკურ გიმნაზიელი რუსდებოდა, მის გონებაში საქართველო არ ენთო. ან თუ იცოდა ასეთმა მოწაფემ საქართველო, ეს იყო შესწავლილი ტენდენციურ წყაროებით, რომლის მიზანიც იყო საქართველოს გაქრობა-გადაგვარება. რუსის სკოლის ქართველ მოწაფეთა დიდი უმრავლესობა ჰფიქრობდა: La gèorgie nêtiste pas და არიან მხოლოდ „გრუზინები“ რომლებიც სცხოვრობენ სადღაც სოფლებში და მათ გონებას არა ათბობდა რწმენა—აზრი საქართველოს აღდგენისა და ნაკლებად ემოდათ ქართული

შევიხედოთ გუშინდელ ქართულ გიმნაზიაში შიგნით. „ქართული ენა ყბად არის აღებული, მაგრამ ეს დროებითია, ამით უფრო უნდა გამხნევდეთ ახალგაზრდებო. შოთას სიტყვები მარად უნდა გახსოვდეთ და სხვა ასეთ მრავალს „გაიგონებდით თქვენ „ბატონ“ პეტრესაგან როგორც მას მისი მოსიყვარულე მოწაფენი ეძახდენ პირთაგან. „ყმაწვილო ლათინთა აზროვნება და მჭერმეტყველური თქმანი იმდენად ღრმა და ძვირფასია, რომ მათი სწავლა აუცილებელია, ის ქართველურ ცხოვრებაში გამოგვადგება იტყოდა ალ. მიქაბერიძე.

„სიბეჯითე, სიმუყაითე მეტი ცოდნა და ნაკლები ყვირილი, გმართებთ თქვენ ჩემო მოწაფენო დაუმტკიცეთ მტერს და მოყვარეს, რომ ჩვენი სასწავლებელი ღირსეული სასწავლებელია და მისი მოწაფენი ცოდნით სხვა სასწავლებლების მოწაფეთ არ ჩამოუვარდებიან. წაართვით მთავრობას საბაბი მუქარისა, რომელიც ყოველ დღე ჰფიქრობს ამ სასწავლებლის დაკეტვას, აგრძნობინეთ თქვენს დედ-მამას, რომ თქვენ აქ საიმედო შვილები იზრდებით, წარმოსთქვამდა მასწავლებელი ხშირად მღელვარებით. ვინაიდან საზოგადოებაში თუ ოფიციალ წრეებში გაისმოდა ხმა რომ, ქართულ გიმნაზიას რუდოლფი დაკეტვას უპირებს და მეფის ნაცვალიც თანახმა არისო.

როგორცა ვსთქვით რუდოლფის პედაგოგიურ ვაკხანალიას სწადდა ქართული გიმნაზიის დაკეტვა. მაგრამ რუდოლფებს ქართული გიმნაზია გადაურჩა, რუდოლფი შეიჭრებოდა ქართულ გიმნაზიის კურსის დასამთავრებელ გამოცდებზე და ხშირად 30 კაცში 8 კაცსაც არ ათავებინებდა სასწავლებელს.

მე 8 კლასში ქართულ გიმნაზიელს რუდოლფის წარმომადგენლის თანადასწრებით უნდა ჩაებარებინა ყველა ის საგნები, რომლებიც მას ნასწავლი ჰქონდა I კლასიდან VIII კლასამდე. გარდა ამისა თუ რაიმე მიზეზით ქართულ გიმნაზიელს მოუხდებოდა მე 8 კლასამდე სასწავლებლის დატოვება, მას ეძლევოდა ისეთი მოწმობა, რომელზეც ეწერა Сие свидетельство никаких прав не предоставляет ერთგვარი გმირობა იყო იმ დროს ქართულ გიმნაზიაში სწავლა და აკი მგოსანი აკაკიც როცა ინახულებდა ქართულ გიმნაზიელს ყოველთვის ეტყოდა მათ. „ჩემო ძვირფასნო პატარებო და ვაჟკაცებო, თქვენ აქედანვე ეჩვევით გმირობას, გაიზარდენით, სამშობლო თქვენ შემოგყურებთო“.

შემდგომ ჩვენ ვეცდებით სხვა სასწავლებლებსაც დაუაროთ და მათი აჩრდილები გავაცოცხლოთ მკითხველის წინაშე;

არ—დი.

# ხელოვნება

## ალექსანდრე კონსტანტინეს ძე გლაზუნოვი

რუსეთი და მასთან ერთად მთელი მუსიკალური ქვეყანა იხდის გლაზუნოვის საკომპოზიტორო და საერთოდ. მუსიკალურ შემოქმედების 40 წლის იუბილეს. დიდია იუბილიარის მნიშვნელობა რუსეთის მუსიკის ისტორიაში: როცა ხელოვნების ამა თუ იმ ფორმამ მოიხმარა მთელი თავისი შესაძლებლობა, როცა ამა თუ იმ კულტურულ ეპოქის მიერ შექმნილი მხატვრული ფორმები უკვე აქ აღარ უპასუხებენ შემდეგ თაობის გემოვნებას,—მაშინ ახშულ ჰაერში ვ თარდება ახალი გამოცოცხლებული ნაკადის შეტანის სურვილი. და მოაქვთ ისინი ხელოვან რევოლუციონერებს, რომელთა გულში ძველის დამხობის სურვილთან ერთად არის ბევრი შემოქმედებითი ძალები ახალი მხატვრული ფორმების შესაქმნელად. მაგრამ ხელოვნების ისტორიაში არის ხშა დროც, როცა წინა საუკუნეს, სრულად არ ამოუწურავს არსებული მხატვრული ფორმები და ისინი განაგრძობენ არსებობის ახალ რევოლუციონურ შემოქმედების გვერდით და მაშინ, ამ ორი ფორმის დამოკიდებულება ქმნის ინტერესს, ფართოვდება მისი სფერო და გავლენა მასებზე. პირველ რევოლიუციონერად რუსულ მუსიკაში გაჩნდა დიდებული გლინკა. დასავლეთის ხელოვნების მოყვარულმა მან შეითვისა მისი ფორმები, რაც საჭიროდ და აანგრძლივად იგონა, მაინც პირველად შექმნა რუსული მუსიკა, გახდა რევოლიუციონერი, შექმნა ეროვნული მუსიკა, ჩანერგა მასში ჯერ კიდევ სხვისთვის უცნობი ფორმები. მაგრამ აშკარა რევოლიუციონერად, რომელნიც არ სცნობდნენ დასავლეთის მუსიკას და უარყოფდენ მას, იყო „შემძლე ჯგუფი“, რომელმაც შექმნა თავისი დამოუკიდებელი მუსიკალური მსოფლმხედველობა. რუსეთის დიდებულმა ლირიკოსმა ჩაიკოვსკიმ, დიდმა მოყვარულმა კლასიკების, განსაკუთრებით მოცარტის, მუშაობდა „შემძლე ჯგუფთან“ ერთად, მაგრამ იმავე დროს განზე იდგა თავისი ლირიზმით, რომლითაც ის ემხრობოდა დასავლეთის ხელოვნებას. აი გლაზუნოვმა შესძლო უკიდურეს მიმართულებების შერიგება.

ამაშია მისი მთავარი დამსახურება მას ხელოვნება, უპირველესად ყოვლისა, ინტერნაციონალურად მიაჩნია.

„ხელოვნება ხელოვნებისათვის“ აი მისი credo. გლაზუნოვი თავის ნაწარმოებში არ ხმარობს ეგრედწოდებულ „ადგილობრივ კოლორიტს“ (coulenr lokol). იგი იყო მუსიკალურ მიმართულებაში რეალისტად, თავის ნაწარმოებში არ შექონდა ხალხური სიმღერები: მის არც მე-4, მე-5 და მე 6 სიმფონიებში, რომელნიც ეკუთვნიან უფრო დასრულებულ პერიოდს მის შემოქმედებაში, ვერ ნახავთ ვერც ერთ ხალხურ სიმღერას, მაგრამ ამავე დროს მაინც გრძნობ რაღაც ნათესაურს, ნაცნობს, რომელიც გაუგებარია სხვისთვის, უცხოსათვის. ეს არ არის ნაციონალური, ეს ისეთი რამ არის, რაც გლაზუნოვისთვის თვით ბუნებას ჩაუნერგავს.

გლაზუნოვი დაიბადა 1865 წ. წარმოსდგება ძველ ვაჭრულ ოჯახიდან. ახალგაზრდობაში მას ლტოლვა უფრო მხატვრობისაკენ ქონდა. მაგრამ როცა 9 წლისას დაუწყეს მუსიკის სწავლა მან დიდი ნიჭი გამოიჩინა და ესწრაფოდა შემოქმედებისაკენ. მის მეცადინეობას პირველად ხელმძღვანელობდა დედა მისი, დიდებული ელენე პავლეს ასული გლაზუნოვისა. ხოლო მასთან მეცადინეობის გაგრძელება და დასრულება იკისრა ცნობილმა ბალაკირევმა. 1882 წელს გლაზუნოვი პირველად გამოვიდა საზოგადოების წინაშე თავისი პირველი სიმფონიით e-dar ამ სიმფონიამ, როგორც საზოგადოებაში ისე მუსიკალურ სფეროში დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. ისეთმა მკაცრმა კრიტიკოსმა, როგორც იყო ცეზარ კიუი, სიმფონია ჩასთვალა „ნაწარმოებათ გასაკვირი, საშიში ნაადრევი დასრულებით“. გლაზუნოვის ნაწარმოები შექონდათ, რუსული და საზღვარ გარეთის კონცერტთა სერიოზულ პროგრამაში. დიდი როლი გლაზუნოვის პოპულიარიზაციისათვის შეასრულა ცნობილმა რუსმა მეცენატმა ბელიაევმა. ფრანც ლისტმა გლაზუნოვში იცნო პირველ ხარისხოვანი კომპოზიტორი და უკვე 1884 წ. გლაზუნოვის სიმფონია სრულდებოდა ვეიმარში ცნობილ ჰანს ბიულოვის ხელმძღვანელობით. ამავე დროს მისი შემოქმედება ფართოვდებოდა. გაჩნდა მე-2 სიმფონია ჩინებული სიმფონიური პოემა „სტენკა რაზინი“, „კრემლი“, „აღმოსავლეთის რაფსოდია“, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე სიმფონიები.

გლაზუნოვმა შექმნა რამოდენიმე ბალეტი „რაიმონდა“, „ბახუსის დღესასწაული“ და მთელი რიგი საფორტეპიანო და violino კომპოზიციები და აგრეთვე ensembles სიმებიან საკრავებისათვის.

გლაზუნოვის სახელი ევროპაში იზრდებოდა და 1902 წელს ის აირჩიეს ლონდონის ფილარმონიულ საზოგადოების საპატიო წევრად, ხოლო 1906 წელს კამბრიჯის უნივერსიტეტმა მიუძღვნა მას სახელი დოქტორ donoric cauza. იგი არჩეულ იქნა პეტერბურგის კონსერვატორიის დირექტორად და უკანასკნელ ხანამდე იყო ამ თანამდებობაზე.

მისი ზნეობრივი გავლენა სამხატვრო საბჭოზე და მოწაფეებზე ყოველთვის იდგა მიუღწეველ სიმაღლეზე. საკმაო იყო გაეგოთ, რომ ასეთია ალექსანდრე კონსტანტინეს ძეს სურვილი, რომ იგი კანონად ქცეულიყო.

ხუთშაბათს, ამა წლის დეკემბრის 14-ს სახელმწიფო 1 კონსერვატორია მას იუბილეს იხდის კონცერტით, რომელიც შესდგება მისი ნაწარმოებიდან.

ვ. ბებუთოვი.

### სახელმწიფო I კონსერვატორიის მოწაფენი საზღვარ-გარეთ.

ტფილისში მიღებულია ცნობა, რომ ბერლინში დიდი გამარჯვებით გამოდიან კონცერტებით სახელმწიფო I კონსერვატორიის ყოფ. მოწაფენი პროფ. ტრუსკოვსკის კლასის იოსებ ფიდელმანი და ირაკლი ორბელიანი, ამ ჟამად ჩვენ წინ არის მათი კონცერტების პროგრამა, რომლიდანაც სჩანს, რომ ახალგაზრდა შემსრულებლები ძნელ საკონცერტო რეპერტუარს ასრულებენ (ბახი-ტაუზიგ, ლისტი, შუმანი, რახმანინოვი, ბალაკირევი). სახელი და დიდება ჩვენი მოხუც კონსერვატორიის ახალგაზრდა მოწაფეთ!

მადლობა პროფესორ ტრუსკოვსკისაც. ირაკლი ორბელიანი გამოდის არა როგორც მხოლოდ პიანისტი, არამედ როგორც კომპოზიტორიც.

ვ. ბებუთოვი.

### სახელმწიფო II კონსერვატორიის ხალი დარბაზის გახსნის ზეიმი.

ზეიმი შესდგა ა. წ. დეკემბრის 10-ს, კვირას საზეიმო სახით. კონსერვატორიის დირექციისა და ადმინისტრაციის მიერ გაგზავნილი იყო მთელი რიგი ბილეთებისა დასაპატიჟებლად. დაესწრენ მთავრობის წარმომადგენელნი, და სხვ. საკონცერტო განყოფილების დაწყების წინ, კონსერვატორიის დირექტორმა არაყიშვილმა წარმოსთქვა სამადლობელი სიტყვა განათლების სახალხო კომისრის კანდელაკის „მუზის“ გამგის მელიტონ ბალანჩივაძის, ინჟენერ პატრინის და ადმინისტრაციის სათავეში მდგომ ზ. ბარათაშვილის მიმართ დახმარების აღმოჩენისათვის. პირველი განყოფილება. შესდგებოდა განსაკუთრებით ქართულ კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან შესრულდა სიმებიანი საკრავისათვის გადაკეთებული ტრიო დიმიტრი არაყიშვილის ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“—კონსერვატორიის პროფესორების ზეილიგერის, ილჩენკოს და ცოვიანოვის მიერ. ოპერის მომღერალმა ინაშვილმა შეასრულა არაყიშვილისა და ბალანჩივაძის რომანსები. (არია ბალანჩივაძის ოპერიდან „თამარ ცბიერი“). ოპერის მომღერალმა შარაშიძემ შეასრულა ბალანჩივაძის „სულო ბოროტო“. პაპიაშვილის ხელმძღვანელობით ხორომ შეასრულა „იავნანა“ და „დიდება მეფეს ლუარსაბს“ შესრულდა ყარალაშვილის ნაწარმოებიც; მეორე განყოფილებაში, რომელიც შესდგებოდა რუს და ევროპიელ კომპოზიტორების ნაწარმოებებიდან, ლაუკრა ზეილიგერმა, ცოვიანოვმა და კონსერვატორიასთან არსებულსა გრემილის სახელობის სიმებიანმა კვარტეტმა—1 violino—ილჩენკო, მე-II—ოგანეზოვი, ალტი—[illegible] violo-ფლოროვი.

ვ. ბებუთოვი.

— შალვა დადიანის იუბილე. ნოემბრის 7-ს, განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ საზეიმო მთავარ კომიტეტის ბინაზე შესდგა შალვა დადიანის იუბილეს მომწყობი საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრნენ: კულტურულ, საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენელნი. კრებამ დაადგინა: შალვა დადიანის მისი საცენო და სალიტერატურო ასპარეზზე 30 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად გადამართოს იუბილე—2 თებერვალს მომავალ წელს.

ამავე კრებამ დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა, განათლების სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა შალვა დადიანის იუბილეს დღეებში გამოსცეს მისი ნაწერების ერთი ტომი. აღნიშნულ იუბილეს მოსაწყობად არჩეულ იქმნა საიუბილეო კომიტეტი ექვსი კაცის შემადგენლობით: თავმჯდომარეთ გრიგოლ რობაქიძე. ამ დღისათვის გამოვა საიუბილეო კომიტეტის მიერ მოწოდებული და შემუშავებული იქნება სადაც [illegible] გეგმა იუბილეს მოწყობისა ჩატარებისათვის.

ქუთაისის დრამატიული დასი. ამ დღეებში მსახიობი იუზა ზარდალიშვილი მიემგზავრება ქუთაისს რომელსაც [illegible] იქვს გამოარკვიოს [illegible] რიგ მსახიობთა ძალა. ზარდალიშვილმა უკვე გამართა მოლაპარაკება ტფილისში მყოფ მსახიობთა შორის და ზოგიერთთაგან უკვე მიიღო პრინციპიალური თანხმობა ქუთაისში გამგზავრების შესახებ.

### დღეს თეატრებში

— სახალხო სახლი. დღეს სახალხო სახლში ალ. სუმბათაშვილი-იუჟინის საპატივსაცემლოდ წარმოდგენილი იქნება „მსხვერპლი“ პირველი მოქმედება და „[illegible]“ 1 მოქმედება რეჟ. [illegible] შ. დადიანი.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

**დადგენილება № 29.**

**საქ. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა.**

11 დეკემბერი 1922 წ.

1. საქ. ს. ს. რ. საბჭოთა [illegible] ინდექსის მიხედვით მიღებული—ამმდე არსებულ საქონლის ფასის გამომხატველ მაჩვენის კურსი, დეკემბრის პირველი ნახევრისათვის განისაზღვროს 228 000 მ. ქართულ ბონებით.

2. იმ წარმოებებში დაწესებულებებში, რომელშიც დადებულია კოლექტიური ხელშეკრულებანი და რომელთაც საფუძვლად უდევთ ამამდე არსებული საქონლის ფასის გამომხატველი მაჩვენებლით სატარიფო განაკვეთი, მათ ეძლევათ მშრომელთ გაუსწორონ ანგარიში ამა დადგენილების 1 მ მუხლში აღნიშნული კურსის მიხედვით.

3 ესე დადგენილება არ ვრცელდება იმ ხელშეკრულებებზე, რომლებშიც განაკვეთის გამოანგარიშება გათვალისწინებულია [illegible] პროდუქტით.

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე ა. მიქაძე.

საქმეთა მმართველი გ. ხარაზიშვილი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

დეკემბრის 13-ს, საღამოს 4-ს საათზე, ქ. ტფილისში გარდაიცვალა

**მუხრან ხოჭოლავა**

რასაც მისი მეგობრები და ამხანაგები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას. გამოსვენება მოხდება კვირას, 17 დეკემბერს, დილის 12 საათზე ყორღანოვის ქუჩიდან სახ № 16.

3—1

მოკლე ხანში
ჯანმრთელობის სახალხო კომისარ.
ფარმაცევტიული განყოფილება
ხსნის
მეორე მაღაზიას
ყოფილ ახვლედიანის აფთიაქის შენობაში,
რუსთაველის პროსპექტისა (ყოფ. გოლოვინის) და სამხედრო ქუჩის კუთხეში.
5—5

ტირაჟი [illegible] საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ. № 2.